11/06/2024

MES 7 24 0000649962

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ბათუმი სქართულ-ამერიკული სკოლა:
დიანა ხაჯიშვილი - სკოლის დირექტორი;
ლიკა გიორგაძე - ორგანიზაციული განვითარებისა და სამართლებრივი შესაბამისობის მენეჯერი.

სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლა:
ლევან ღურწკაია - სკოლის დირექტორი

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლა:
ციცინო ტარუაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ- ონის რაიონის სოფელ უწერის საჯარო სკოლა:
ანა მეტრეველი - მასწავლებელი

სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა:
მარინა ჯარმელიშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა:

ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა ტუკვაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ლომაძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) გიორგი ნებიერიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ციცინო თორია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 29 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

4. სსიპ- ონის რაიონის სოფელ უწერის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 14 თებერვალის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა შპს "თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიაში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. საბჭოს გადაწყვეტილებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება მონიტორინგთან დაკავშირებით.
საბჭოს არ განუსაზღვრავს დაწესებულებისათვის რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ჰქონდა გაწერილი, ასევე, გეგმაში გაწერილი დოკუმენტაციის გარკვეული ნაწილი დაწესებულებამ წარმოადგინა მარტის თვეში და განხილულ იქნა 18 მარტის საბჭოს სხდომაზე.
საბჭომ ცნობად მიიღო, შპს "თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

1. **შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 22 და 23 აპრილს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩა N117-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 700 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 700 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი(ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ გაცემულა რეკომენდაციები, თუმცა გაიცა რამდენიმე რჩევა, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ფორმალურ განათლებასთან ერთად, დაწესებულება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არაფორმალური განათლების კომპონენტების გაძლიერებას. სკოლაში შექმნილი იყო სხვადასხვა კლუბი და ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი აქტივობები, რომლებიც მორგებული იყო ყველა მოსწავლის ინტერესზე. გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფდა მასწავლებელთა განვითარებას, მოწვეული მაღალკვალიფიციური ექსპერტ-კონსულტანტების ტრენინგებითა და ვორქშოფებით, პერსონალის უფასო კვებას, კარგ სადაზღვევო პაკეტს და ფასდაკლებას მათი ოჯახის წევრების სწავლებისთვის. ექსპერტის თქმით, სკოლა თანამშრომლობდა რამდენიმე უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან (ამერიკის უნივერსიტეტი ბულგარეთში; ჯეიმს თაუნის საზოგადოებრივი კოლეჯი და სხვა), მოსწავლეებს აწვდიდა ინფორმაციას უცხოური უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და ეხმარებოდა ჩაბარებისთვის საჭირო საკითხების გარკვევაში.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ სკოლა უზრუნველყოფდა დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ კემბრიჯის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ ტესტირებაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საგნობრივ კონკურსებსა და ოლიმპიადებში, ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის მე-8 საერთაშორისო ფორუმში ,,European Youth Parliament TIFLISI 23.“, ბათუმის ტექნოპარკის პროექტში „TechInnovate Your Business - ისწავლე და გამოიყენე ახალი ტექნოლოგიები შენს ბიზნესში“ და გარდა ამისა, სკოლა თავად იყო სხვადასხვა პროექტის ინიციატორი.

სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა 2023-2024 სასწავლო წლის შუალედური ანგარიში, რომლის თანახმადაც, დაიხვეწა პერსონალის მართვის მექანიზმები; განახლდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; შემუშავდა ბიზნეს პროცესების აღმწერი დოკუმენტები; ჩამოყალიბდა მოსწავლის კარიერული განვითარების მექანიზმები; დაიხვეწა კურიკულუმები და სკოლამ უზრუნველყო შენობა-ნაგებობის საექსპერტო შეფასება. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰყავდა 64 მასწავლებელი და დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურაზე და აღნიშნა, რომ კამპუსი და რეკრეაციული ზონები განთავსებული იყო 13000კვ.მ ფართობზე, აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობდა 5 შენობა: N1 (ძირითადი კამპუსი), N2 (სააქტო დარბაზი), N3 (ბიბლიოთეკა და დაცვის შენობა), N4 (საერთო საცხოვრებელი, კლასები და წრეები) და N5 (დახურული სპორტული დარბაზი და კვების ბლოკი), დაწესებულებაში იყო 39 სრულად აღჭურვილი საკლასო ოთახი. სკოლის ეზო დაცული იყო ღობით, შიდა და გარე პერიმეტრი სრულად იყო აღჭურვილი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით (56 შიდა და 32 გარე). ამას გარდა, სკოლის ტერიტორიაზე დაშვება ხდებოდა პლასტიკური ბარათების მეშვეობით და შემუშავებული ჰქონდა როგორც სახანძრო უსაფრთხოების წესები, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (აყვანილი აუთსორსინგით). ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომლის თანახმადაც, შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ სკოლის კვების ბლოკში დანერგილი იყო HACCP სისტემა.
ექსპერტმა წარადგინა შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ ყველა ოთახი აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით. ასევე, ხელმისაწვდომი იყო პროფესიული ორიენტაციის მომსახურება, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ სკოლას სტრუქტურით განსაზღვრული ჰყავდა არაფორმალური განათლების კოორდინატორი, საბაზო და საშუალო კლასის მოსწავლეები მრჩევლის საათის ფარგლებში ეცნობოდნენ სხვადასხვა პროფესიას და ჰქონდათ გასვლითი შეხვედრები ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა ბათუმის საქალაქო სასამართლო, კოლეჯი „ბლექსი“ და ა.შ.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის კურიკულუმებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და საგნობრივი კურიკულუმები აგებული იყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, გაეცნოთ მეტი დეტალი არაფორმალური განათლების კოორდინატორის საქმიანობასთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორ ეხმარებოდა პროფესიის შერჩევაში მოსწავლეებს. დაწესებულების ორგანიზაციული განვითარებისა და სამართლებრივი შესაბამისობის მენეჯერმა, ლიკა გორგაძემ განმარტა, რომ არაფორმალური განათლების კოორდინატორი მუშაობდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე, შესაბამისად მოსწავლეები ადგილზე სიღრმისეულად ეცნობოდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის ფაკულტეტებს, მიმართულებებს და ესწრებოდნენ ლექციებს. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა დასძინა, რომ სკოლა ხშირად იწვევდა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს, რომლებიც სფეროს შესახებ დეტალურ ინფორმაციას აწვდიდნენ მოსწავლეებს.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, დადიოდნენ თუ არა მოსწავლეები მუზეუმებსა და ისეთ დაწესებულებებში, სადაც შესაძლებელი იყო არაფორმალური განათლების მიღება. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა დიანა ხაჯიშვილმა განმარტა, რომ მოსწავლეებს მუდმივად ჰქონდათ გასვლითი ხასიათის ღონისძიებები სხვადასხვა დაწესებულებაში, ხოლო მათი ტრანსპორტირება უზრუნველყოფილი იყო სკოლის მხრიდან. საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა სკოლას მისცა რჩევა, რომ აღნიშნული ღონისძიებები აესახათ კურიკულუმებშიც.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ნიკა უთალიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით მისგანაც გაიცა რჩევა. ასევე დაამატა, რომ სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებრივი მეცნიერებების პორტფოლიო და აღნიშნა, რომ სკოლაში კარგი თანამშრომლობითი გარემო იყო შექმნილი, ასევე, სკოლას საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით განხორციელებული ჰქონდა პროექტი „ახალგაზრდები მშვიდობისთვის“.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700 - ით განსაზღვრის საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად

განსაზღვრულიყო 2024 წლის 29 მაისი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:40.
დასრულების დრო: 17:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლას (ს/კ: 445519537) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700- ით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 29 მაისი.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის N117
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის N117
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის N117

2. სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრულირეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლას 2023 წლის 13 სექტემბრის N1140323 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, ცენტრში წარმოედგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისა და ჩართულობის მტკიცებულებები, 7 წლიანი სტრატეგიული და 1 წლიანი სამოქმედო გეგმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომში მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს ლევან ღურწკაიას, რომ სკოლის მიერ შედგენილი ერთ-ერთი კითხვარი, რომელიც ეხებოდა სსიპ ქალაქ ზუგდიდის N 3 საჯარო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას იყო რთულად აგებული და მისცა რჩევა, დაეხვეწათ აღნიშნული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

3. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლას 2023 წლის 10 ოქტომბრის N1343718 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, ცენტრში წარმოედგინა 3.4 კომპონენტის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომში მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

4. სსიპ- ონის რაიონის სოფელ უწერის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ- ონის რაიონის სოფელ უწერის საჯარო სკოლას 2023 წლის 11 დეკემბრის N1691960 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. მისი თქმით, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 3.2 და 3.4 კომპონენტთან მიმართებით, სტანდარტების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეესრულებინა დაფიქსირებული საკითხები და ცენტრში წამრმოედგინა დამადასტურებელი მტკიცებულება. დაწესებულებამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები და პერსონალის განვითარების გეგმის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომში მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ- ონის რაიონის სოფელ უწერის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

5. სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლას 2023 წლის 31 აგვისტოს N1060110 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია. საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 3.4 და 3.5 კომპონენტთან მიმართებით, სტანდარტების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეესრულებინა დაფიქსირებული საკითხები და ცენტრში წამრმოედგინა დამადასტურებელი მტკიცებულება. დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების ბრძანება, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება და წერილი სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან დაფინანსების მიზნით (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით), რომელიც შემდგომში მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:15 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა